

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ილხამ გასანოვის ყულარის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრის

ოქმი N1

ქ. მარნეული

14.09.2019 წელი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ილხამ გასანოვი, მამუკა ნავერიანი, ბესიკ გელენიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე, ნადირ გულიევი.

სხდომას ესწრებოდა- ყულარის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების: კირიხლო, ზემო ყულარი, ქვემო ყულარი, წითელსოფელი, მარადისი, მეწამულას (ბუდიონოვკა), და დაშტაფის მოსახლეობა, ასევე მარნეულის მაჟორიტარის პარლამენტის წევრის თამაზ ნავერიანის ბიუროს უფროსი აგილ ამირჯანოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების სპეციალისტები არჩილ მდივნიშვილი, ხომეადამ ნოვრუზალოვა და მარიანა გვრიტიშვილი

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ყულარის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის ილხამ გასანოვი ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ყულარის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა ილხამ გასანოვმა ყულარის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების (კირიხლო, ზემო ყულარი, ქვემო ყულარი, წითელსოფელი, მარადისი, მეწამულა, დაშტაფა) მოსახლეობას წარუდგინა 2019 წლის ანგარიში. საკრებულოს წევრი შეეხო ყულარის ადმინისტრაციულ ერთეულში 2019 წელს განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს. აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს სოფელ კირიხლოში და სოფელ ზემო ყულარში განხორციელდა გარე განათების მოწყობა. სოფელ ქვემო ყულარში სკოლის საპირფარეოს

რეაბილიტაცია.წითელსოფელში სოფლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია,გარე განათების მოწყობა და სკოლის კარ-ფანჯრების რეაბილიტაცია განხორციელდა.სოფელ მარადისში სასმელი წყლის შიდა ქსელისა და მრიცხველების მოწყობა, სარიტუალო ინვენტარის შესანახი ოთახის მოწყობა,საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობა განხორციელდა.სოფელ მეწამულაში (ბუდიონოვკაში)² ერთეული ფანჩატური გაკეთდა .სოფელ დამტაფაში გარე განათების მოწყობა განხორციელდა.

აზრი გამოთქვებს: მოსახლეობამ ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც აწუხებს სოფელი კირიხლოს მოსახლეობას.ჩამოთვლილი პრობლემებიდან ყველაზე აქტუალურია სოფლამდე მისასვლელი გზის მოასფალტება,სასმელი წყალი, გარე განათების დასრულება ყველა უბანში.

სოფელი ზემო ყულარის მოსახლეობამ სოფლის მთავარ პრობლემად სკოლის რეაბილიტაცია,შიდა გზების მოასფალტება, გარე განათების სამუშაოების დასრულება და ტრამპლინი დაასახელა.

სოფელი ქვემო ყულარის მოსახლეობამ პრობლემად გარე განათების სამუშაოების დასრულება,სკოლის რეაბილიტაცია და ტრამპლინი დაასახელა.

სოფელი წითელსოფელის მოსახლეობამ სოფლის პრობლემათა ჩამონათვალში დაასახელა საბავშვო ბაღის არქონა,სკოლის გათბობის სისტემით აღჭურვა,შიდა გზების მოასფალტება , ბავშვთა გასართობი მოედანი (სკვერი).

სოფელი მარადისის მოსახლეობამ სოფლის პრობლემად საბავშვო ბაღი დაასახელა, ასევე შიდა გზების მოასფალტება.

სოფელი მეწამულას მოსახლეობამ სარწყავი წყლის რეაბილიტაცია ,გასუფთავება დაასახელა.

სოფელი დამტაფას მოსახლეობამ პრობლემათა ჩამონათვალში სარწყავი წყლის გაწმენდა, რეაბილიტაცია, სოფლამდე მისასვლელი გზის ასფალტირება,გარე განათების სამუშაოების დასრულება,სპორტული დარბაზი დაასახელა.

გადაწყვიტეს: მოსახლეობამ დადებითად შეაფასა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ყულარის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის ილხამ გასანოვის გაწეული მუშაობის ანგარიში.

